დანართი 1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება

I. ზოგადი დებულებები

1. მიზანი

1.1. ეს დებულება აწესრიგებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის №171, 172, 173 დადგენილებების შესაბამისად.

1.2. დოქტორანტურის მიზანია: სადოქტორო პროგრამების საფუძველზე დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, დოქტორანტის ინტეგრაცია საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო საზოგადოებაში.

2. დოქტორანტურა

2.1. დოქტორანტურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრების მომზადებას და მთავრდება ეკონომიკის ან ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

2.2. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს.

2.3. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.

2.4. დოქტორი უმაღლესი აკადემიური ხარისხია, რომელიც დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დისერტაციის დაცვის შემდეგ.

II. დოქტორანტურაში მიღების წესი

3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

3.1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს, ან მასთან გათანაბრებულ პირს.

3.2. " უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს.

4. დოქტორანტურაში მიღების პირობები

4.1. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული, ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

4.2. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი სადოქტორო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან გამოცდით. (6.11.2017, №130/2017)

4.3. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გასაუბრებაზე ან აბარებს მისაღებ გამოცდას სპეციალობაში შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობების გათვალისწინებით. გასაუბრებაზე ან სპეციალობაში გამოცდაზე დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი. შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით. (23.04.2018, №105/2018)

4.4. ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული–სამართლებრივი აქტით ხდება დოქტორანტის ჩარიცხვა.

4.5. უნივერსიტეტი, დოქტორანტი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, ჩარიცხვიდან ორ თვეში ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს. ხელშეკრულების ნაწილია დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა.

5. განაცხადი

დოქტორანტურაში ჩარიცხვისათვის დოქტორანტობის კანდიდატი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე წარადგენს განაცხადს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ავტობიოგრაფია CV;
- დიპლომის დამოწმებული ასლი;
- პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ასლთან ერთად;
- კონკურსანტი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს, ასეთის არსებობის შემთხვევასი.

6. სამეცნიერო ხელმძღვანელი

6.1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს. დოქტორანტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევაში.

6.2. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები.

6.3. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე არაუმეტეს ხუთ დოქტორანტს. დასაშვებია ხუთზე მეტი დოქტორანტის თანახელმძღვანელობა. (10.10.2011, №108/2011) (23.04.2018, №105/2018)

6.4. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესრულებას.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, იგი ვალდებულია ამის შესახებ დასაბუთებული განცხადება წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.

III. დოქტორანტურაში სწავლა

7. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა და ჩაბარების ვადები

7.1. დოქტორანტს მოეთხოვება დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულება.

7.2. დოქტორანტმა ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის განმავლობაში სწავლისა და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ, მისი მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა. ხელმძღვანელი შუამდგოლობას წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს. სწავლის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს 4 სემესტრისა. (11.07.2011; №68/2011)

7.3. დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, დანარჩენი (120 კრედიტი) ეთმობა კვლევას.

7.3[1]. დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს, დანარჩენი (130 კრედიტი) ეთმობა კვლევას (2011 წელს ჩარიცხული დოქტორანტებისათვის). (11.07.2011; №68/2011)

7.4. დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენით და დაცვით. (6.11.2017, №130/2017)

7.5. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება წელიწადში ორჯერ, შემოდგომისა და/ან გაზაფხულის სემესტრისათვის.

8. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

8.1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო და კვლევითი ელემენტების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის დაწერაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

8.2. ამოღებულია. (6.11.2017, №130/2017)

8.3. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სასწავლო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს: (6.11.2017, №130/2017) (23.04.2018, №105/2018)

დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა
სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5 კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	15 კრედიტი
სემინარი	სავალდებულო	10 კრედიტი
აკადემიური წერა	სავალდებულო	5 კრედიტი

არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა	არჩევითი	10 კრედიტი
კვლევის მეთოდები (სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში)	სავალდებულო (სავალდებულო 2018-2019 სასწავლო წლიდან ჩარიცხული დოქტორანტებისთვის)	5 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	არჩევითი	5 კრედიტი
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	არჩევითი	10 კრედიტი
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში	არჩევითი	10 კრედიტი

8.4. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები (5-30 კრედიტი) – იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური წარსულიდან (მინიჭებული კვალიფიკაცია) ან სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტს სჭირდება გარკვეული დარგობრივი კომპეტენციების დამატებით შეძენა, მას აქვს უფლება თავისი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან) შეთანხმებით გაიაროს ესა თუ ის სასწავლო კურსი, რომელიც შემოთავაზებულია მთელი საუნივერსიტეტო კურიკულუმის ფარგლებში (ეს ეხება განსაკუთრებით იმ დოქტორანტებს, რომლებიც დოქტორანტურაში იცვლიან სპეციალობას). ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სასწავლო კურსების გავლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელიც სწავლების მესამე საფეხურზე იცვლის სპეციალობას. ამ შემთხვევაში დოქტორანტს არ ენიჭება კრედიტები, თუმცა აღნიშნული სასწავლო კურსები მას აძლევს საშუალებას, რომ მიიღოს სპეციფიკური დარგობრივი ცოდნა და გამოიმუშავოს გარკვეული დარგობრივი თუ ტრანსფერული უნარები, სადისერტაციო ნაშრომის საჭიროებებიდან გამომდინარე. (23.04.2018, №105/2018)

9. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა

9.1. თითოეული დოქტორანტი სასწავლო კომპონენტის საერთო საფაკულტეტო სქემის ფარგლებში თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან (თანახელმძღვანელთან) შეთანხმებით თავად ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგისა და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის, დოქტორანტის განათლების, ფაკულტეტის აკადემიური პოტენციალისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ დოქტორანტი შევსებულ სპეციალურ ფორმას (ფორმა 1) და მის თანდართულ დოკუმენტაციას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანატს, რომელიც სადისერტაციო საბჭოს ოფიციალურად აცნობებს დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ.

9.2. დოქტორანტურაში სწავლის დასაწყისში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან (თანახელმძღვანელთან) შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას და შევსებულ სპეციალურ ფორმას (ფორმა 2) წარუდგენს ფაკულტეტის დეკანატს. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის განსახორციელებლად და დარგში მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო გრაფიკი.

10. ამოღებულია. (11.07.2011; №68/2011) (10.10.2011, №108/2011) (6.11.2017, №130/2017)

11. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

11.1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:

- პლაგიატობის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
- უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას.

IV. სადისერტაციო საბჭო

12. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

13. სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან.

14. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები, უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით;

15. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, ფარული კენჭისყრით, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 2 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ერთი და იგივე თავმჯდომარე ზედიზედ შესაძლებელია არჩეულ იქნეს 2-ჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.
თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას, გაიმართება მეორე ტური, სადაც გამარჯვებული გამოვლინდება უბრალო უმრავლესობით. მეორე ტური ინიშნება იმავე დღეს. მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები, რომლებიც დარეგისტრირდნენ პირველ ტურში. მეორე ტურში ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, 2 კვირის ვადაში ინიშნება ხელახალი არჩევნები.
კენჭისყრის წინ იბეჭდება ბიულეტენები, რომლებიც საჯაროდ გადაეცემა ხმის დამთვლელ კომისიას იმ რაოდენობით, რა რაოდენობის წევრებიც იღებენ მონაწილეობას არჩევნებში.(29.01.2011, №6/2013)

16. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში, საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს.

17. სადისერტაციო საბჭოს სხდომები და ფუნქციები

17.1. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა 2/3. გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით;
17.2. სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;
17.3. სადისერტაციო საბჭო:

- იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტურაში მიღების, სადისერტაციო თემისა და ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
- ნიშნავს შემფასებლებს და განსაზღვრავს დისერტაციის დაცვის თარიღს;
- განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის ზღვრულ მოცულობას, სავარაუდო ფორმატს და სხვა ტექნიკურ მონაცემებს;
- საბჭოს შემადგენლობიდან განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიას და ამტკიცებს მას.
- სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;

18. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: (6.11.2017, №130/2017)

ა) იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს სემესტრში ერთხელ მაინც;
ბ) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

19. სადისერტაციო საბჭოს მდივანი

19.1. სადისერტაციო საბჭოს მდივანს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.
19.2. მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას:
• აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს, უნივერსიტეტში საქმის წარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;
• ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
• ხელმძღვანელობს საბჭოს არქივსა და საქმის წარმოებას;
• კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდგომ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში.

V. დისერტაცია და მისი დაცვის პროცედურა

20. დისერტაცია

20.1. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევისას.
20.2. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნას ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული). სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. (23.04.2018, №105/2018)
20.3. სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობა - 180-200 გვ. (არაუმეტეს 400 000 ასო-ნიშანი); ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; ფურცლის ზომა - A/4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა – Aაკდნუსხ-ი; სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ.,

მარჯვნიდან – 1 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ.

20.4. ავტორეფერატი – ნაშრომის ზღვრული მოცულობა - 20 გვ. (არაუმეტეს 40 000 ასო-ნიშანი); ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოქვეყნებული ლიტერატურის ჩამონათვალი; ფურცლის ზომა - A/4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა – AcadNusx-ი; სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან – 1 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ. (20 ეგზემპლარი). (16.01.2012, №4/2012)

21. დისერტაციის წარდგენა

21.1. დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაბეჭდ (4 აკინძულ ეგზემპლარს) და ელექტრონულ ვერსიებს.

21.2. დისერტაციას თან ერთვის დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერაა შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

21.3. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დასკვნას იმის თაობაზე, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად, ასევე, ამონაწერს შესაბამისი კათედრის სხდომის ოქმიდან.

21.4. დისერტაციის დაცვამდე, დისერტანტს კვლევის სფეროში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, რეცენზირებად ჟურნალებში.

21.4[1]. იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც დოქტორანტის სტატუსს მოიპოვებენ 2018-2019 სასწავლო წლიდან, დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science ბაზებში). (23.04.2018, №105/2018)

21.5. სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ–ერთი მოთხოვნა მაინც:

ა) დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ქართველი ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი;

ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ჰყავს დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი (ოპონენტი);

გ) დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან გადაცემულია დასაბეჭდად:

- საზღვარგარეთ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში;
- იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში;
- შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში;
- საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings);
- საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ

რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში დაბეჭდილი ან დასაბეჭდად გადაცემული სტატია უტოლდება უცხოურ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებულს;

- უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ფაკულტეტებთან თანამშრომლობით ქმნის

უცხოელ ექსპერტთა საინფორმაციო ბაზას და უზრუნველყოფს დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად გადაცემული სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირებას.

რეცენზირებისათვის საჭირო თანხა გამოიყოფა დოქტორანტის სწავლის გადასახადიდან. უცხოელი ექსპერტის დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან სამი თვის ვადით. ექსპერტი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის პირი, უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის მეცნიერ–თანამშრომელი.

დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება მოახდინოს აგრეთვე:

- თსუ-ში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა;
- თსუ-ში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვ.).

21.6. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის ქირის გადახდისგან სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან.

22. დისერტაციის წინასწარი შეფასება

22.1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დისერტაციის შესაფასებლად გამოყოფს

მინიმუმ ორ შემფასებელს (10.10.2011, №108/2011)
22.2. თუ ორიდან ერთი შემფასებელი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს დამატებით შემფასებელს.
22.3. თუ შემფასებლების ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.
22.4. შემფასებლებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის წარდგენიდან არა უგვიანეს 2 თვისა. დამატებითი შემფასებლის დანიშვნის შემთხვევაში, მას ნაშრომის შეფასებისათვის ეძლევა 1 თვე.
22.5. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების, მისი შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ან დაცვაზე უარის შესახებ.
22.6. შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის დისერტაციის უკან დაბრუნების შემთხვევაში, დისერტაცია ხელახლა უნდა იქნეს წარდგენილი არაუადრეს 1 წლის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაცვაზე არ დაიშვება.
22.7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული უნდა იქნეს დაცვის თარიღი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს დაცვისათვის მოსამზადებლად ეძლევა არანაკლებ 1 თვისა. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს შემფასებლების დასკვნებს.
22.8. დაცვაზე დაშვების უარის შემთხვევაში, დისერტაცია და შემფასებლების წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

23. სადისერტაციო კომისია

23.1. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის დაცვის წინ ქმნის სადისერტაციო კომისიას.
23.2. კომისია შედგება მინიმუმ ხუთი წევრისაგან (ზოგადად, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით), რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება.
23.3. ხელმძღვანელს და შემფასებლებს აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება.
23.4. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

24. დისერტაციის დაცვა

24.1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო.
24.2. დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
24.3. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო კომისიის დასკვნას.
24.4. სადისერტაციო საბჭოს მიერ თითოეული კომისიისათვის ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ორი დაცვისა.
24.5. დისერტაციის დაცვის პროცესზე ვიდეოგადაღება სავალდებულოა. (29.01.2011, №6/2013)
24.6. იმ სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აგრეთვე უცხოეთის წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. (23.04.2018, №105/2018)
24.7. იმ სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აგრეთვე უცხოეთის წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს სადისერტაციო კომისიის შექმნის განსხვავებული წესი, რომელსაც ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. (23.04.2018, №105/2018)

25. დისერტაციის შეფასება

25.1. დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებია:
- საკვლევი თემის აქტუალობა;
- კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე;
- კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა;
- მეცნიერული სიახლე; მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი;
- მიღებული შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთება;

25.2. დისერტაციის დაცვა ფასდება სადისერტაციო კომისიის დახურულ სხდომაზე ფარული კენჭისყრით, რაზედაც დგება ოქმი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება (10.10.2011, №108/2011)
25.3. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:(11.07.2011; №68/2011)
25.3.1. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
25.3.2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ბ) ძალან კარგი – (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
დ) საშულო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები;
25.3.3. ამ მუხლის 25.3.2. პუნქტის ,,ა"-,,ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
25.3.4. ამ მუხლის 25.3.2. პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. 25.3.5. ამ მუხლის 25.3.2. პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
25.4. ამოღებულია (11.07.2011; №68/2011)

26. ხარისხის მინიჭება

26.1. დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმულირება ხდება ერთიანი პრინციპით: კონკრეტული დარგის სახელწოდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმით + დოქტორი (ეკონომიკის დოქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი).
26.2. დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ, არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.
26.3. დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.

27. დისერტაციის გამოქვეყნება

დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვის შემდეგ, სამი თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე არ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი. დისერტაციის ერთი ბეჭდური ან ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებგვერდზე და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ვებგვერდზე. (23.04.2018, №105/2018)

28. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

დოქტორის აკადემიური ხარისხი, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორს ჩამოერთმევა აკადემიური ეთიკის ნორმების დარღვევის, სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის შემთხვევაში.

VI. დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

29. შეთანხმება სადოქტორო პროგრამების განხორციელებაზე

სადოქტორო პროგრამის განხორციელება, პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით, წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.

30. განცხადება დოქტორანტურაში დაშვების შესახებ

30.1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წინაპირობებს.
30.2. განცხადებას ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად, უნდა დაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი პროფესორის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.

31. დოქტორანტის ხელმძღვანელი

31.1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში, დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებმა. აუცილებელია ორივე ხელმძღვანელის დასკვნა და დისერტაციის დაცვაზე ერთ-ერთის დასწრება მაინც.
31.2. თუ სადისერტაციო საქმის წარმოება უპირატესად პარტნიორ უნივერსიტეტში მიმდინარეობს, გამოიყენება პარტნიორი უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების პირობები.

32. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი

დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს ის უნივერსიტეტი, სადაც განხორციელდა დისერტაციის დაცვა პარტნიორი უნივერსიტეტების მითითებით.

33. დისერტაციის წარმოდგენისა და დაცვის ენა

დისერტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულად და პარტნიორი უნივერსიტეტის სამუშაო ენაზე. იგივე წესი ვრცელდება დაცვასთან დაკავშირებით.

VII. დაფინანსება

34. დოქტორანტის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, ქველმოქმედების და თვითდაფინანსების ფორმით.

VIII. გარდამავალი დებულებები

35. გარდამავალი დებულებები

35.1. გარდამავალი დებულებები ეხება თსუ–ს ყოფილ ასპირანტებსა და მაძიებლებს, რომლებსაც საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები ჩაბარებული აქვთ 1999 – 2006 წლებში.

35.2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად თსუ–ს ასპირანტებმა და მაძიებლებმა უნდა ჩააბარონ დოქტორანტურაში მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული წესით.

35.3. თსუ დოქტორანტურაში ჩარიცხული ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც საკანდიდატო მინიმუმის საგნები აქვთ ჩაბარებული ან/და დისერტაციის აპრობაცია აქვთ გავლილი, თავისუფლდებიან მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების დაგროვებისგან. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხორციელდება მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით. სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, ამ დებულების 21.5 მუხლის შესაბამისად.

35.4. იმ კვლევითი ინსტიტუტების ასპირანტები და მაძიებლები, რომლებთანაც თსუ–ს დადებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება, დოქტორანტები ხდებიან ამ პარაგრაფის პირველი მუხლის შესაბამისად.

35.5. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდამავალი პერიოდის დოქტორანტებს რუსული ენა ეთვლებათ უცხო ენად.

35.6. გარდამავალი დებულებით დაწესებული შეღავათებით სარგებლობა შესაძლებელია დოქტორანტურაში მიღების გამოცხადებიდან 2 წლის მანძილზე. წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს, ასეთის არსებობის შემთხვევასი.

ფორმა 1

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____
ფაკულტეტი: _____
სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____
დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____
კონსულტანტი: _____
დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____
დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი:

დასახელება	სტატუსი	კრედიტ. რა–ბა
სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5 კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	15 კრედიტი
კვლევის მეთოდები	სავალდებულო	5 კრედიტი
დოქტორანტის I კოლოკვიუმი	სავალდებულო	5 კრედიტი
დოქტორანტის II კოლოკვიუმი	სავალდებულო	5 კრედიტი
დოქტორანტის III კოლოკვიუმი	სავალდებულო	5 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	არჩევითი	5 კრედიტი
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	არჩევითი	10 კრედიტი
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	არჩევითი	10 კრედიტი
აკადემიური წერა	არჩევითი	5 კრედიტი

დოქტორანტის ხელმოწერა: _____
დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: _____
თარიღი:_____

ფორმა 2

დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

კონსულტანტი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: _____

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა:

ა) კვლევის მიზანი:

ბ) საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა:

გ) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

დ) სადისერტაციო ნაშრომის შესრულების (კვლევის) სავარაუდო გრაფიკი:

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____